

საინფორმაციო

პირ-და-პირ დამოკიდებულია იმ გადასახადებზე, რასაც გლეხები შკოლისთვის აძლევენ, და ამის მომატება შეიძლება მაშინ, როდესაც გლეხები თვითონ, ძალდაუტანებლათ მოისურვებენ, როდესაც იმათ შეძლება აქვს, როდესაც მასწავლებელს გონიერათ და სვინიდიანიანთ მიჰყავს შკოლის საქმე და აქვს სოფლის საზოგადოებაზედ ზნეობითი გავლენა.

მთეს მოხსენებულ პირობანი იქნებოან, მაშინ მასწავლებელთ ჯამაგირი მიემატება უკრებოთ და უგანჩინებოთ. უნდა ითქვას სასარგებლოდ მოღვაწეთა ჩვენი ხალხის განათლებისა, რომ ისინი, თუშეა გრძობდნენ თავიანთ მატერიალურ ცხოვრების ნაკლოვანებას, მაგრამ სრულებითაც არ ჩიოდნენ და არ ტირიოდნენ, სრულებითაც არ აცხადებდნენ სურვილს, რომ ეს კითხვა, ე. ი. მათი დაჯილდოება, იყოს უპირველესი ან უკანასკნელი, რადგანაც ამათ იცოდნენ, რომ მათი ამ მხრით გაუმჯობესობა დამოკიდებულია პირდაპირ გლეხის ჯიბეზედ, რომელშიაც მრავალნი სხვანი უსინდისოთ ჰყოფენ ხელებს...

მთესი სახალხო მასწავლებელთ ყძლეოდეს ჯამაგირი საზოგადო ხაზინებიდამ, როგორც სხვა სამსახურის პირთ, და თუკი ამ ჯამაგირის მომატებოთ დააკლდებოდეს მოხსენებულ სამსახურის და სხვა ქონებ-წოდების პირთ,—მაშინ, რასაკვირველია, ადვილად და გულ-გრილად სათქმელი და სასურველი იქნებოდა ეს მატერიალური გაუმჯობესობა. მინ არ აცის და ვინ არ გრძობს, რომ სასოფლო მასწავლებლების მატერიალური დაჯილდოება და მათი მატერიალური ცხოვრება, ძლიერ სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენს, როდესაც შევადარებთ სასოფლო მასწავლებელთ და სხვა სასოფლო პირთს. პირებში დაჯილდოებასა და ცხოვრებასთან. მარგია რომ მატერიალურათ მასწავლებლის ცხოვრება გაუმჯობესდეს, კარგია, რომ თვითან მან იგრძნოს თავისი და თავისი მეზობლების სიმწარითი ცხოვრება, კარგია, რომ ეს გრძობა ლტოლვილებათაც გადაიქცეს; მაგრამ ეს ლტოლვილება არ უნდა იყოს მიმართული გლეხის ცარიელი ჯიბისკენ.

ამასთან, ვისაც ხალხის განათლების ესმის რამე, არ უნდა ისურვოს, რომ ჯამაგირი სახალხო მასწავლებელს ხაზინებიდამ მიეცეს, რომ ისინი გახდნენ იმ გვარი „ჩინოიკები“, როგორც არიან სხვები. იმ ეკონომიურათ მჭიდრო კავშირზე, რომელიც სუფევს ხალხს, შკოლასა და მასწავლებელს შუა, დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ყოველ მხრივ წარმატებაში. ათასჯერ უმჯობესია იქნება, რომ მატერიალური მდგომარეობა მასწავლებლისა იყოს შემოზღუდული, ოღონდ კი ნუ გასწვდება იმას და ხალხს შუა შემოთნახსენები კავშირი, ოღონდკი მასწავლებელმა არ უყუროს თავის თავს, როგორც სხვისგან გამოგზავნილს.

ჩვენ რომ მხედველობაში მივიღოთ

ის გარემოება, რომ ჩვენში, ჩვენ მხარეში, შკოლების მართვა და ხალხის განათლება იწყობა დღეს, წელს, ის დაჯილდოება, რასაც მასწავლებელნი იღებენ, საზოგადოთ საქმარია. ამ შემთხვევაში მე ორი მოაზრება მაქვს სახეში:

პირველი ის, რომ სახალხო მასწავლებლის ცხოვრება, რაც შეიძლება, ყოველ მხრივ უნდა იყოს ზომიერი, ის ბევრათ არ უნდა იჩიოდეს გლეხების ცხოვრებიდამ. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მასწავლებელმა გარეშე შემოირტყას ის ტალახი, ჭუჭყი, რაც გლეხის ცხოვრებას არტყია. ბარდა წერაკითხვისა, მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ ფიზიკურ, სოფლურ მუშაობასაც ცოტათ მაინც ხელი მოჰკიდოს, რომ რამე ხელობა შეისწავლოს. ეს საგანი იმისთანაა, რასაკარგებლოა, ამას იმისთანა დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლისთვისაც და ხალხის განათლებისათვისაც, რომ თხოულობს ცალკე უფრო ვრცლად გაშინჯვას. უბედურება ეს არის, რომ ჩვენში ქურნალის გამოწერით და მარტო წიგნებას კითხვით ფიქრობენ ხალხის წარმატების შეწვენას. ეს აზრი შემცდარი და საენებელია...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

დღიური

* * * მკანი თავის დღეში არ უნახავს მთელი ის იმდენი ხალხი, რამდენიც ამ ქაშად ცხოვრობს აქ. ეს არის ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ რაც უნდა ბევრი ეძიოთ, ქალაქის სასტუმროებში ახლა საქირავებელ ოთახებს ვერ ნახავთ. სიძვირეც ხომ, რასაკვირველია, ამავე გარემოებას მიეწერება. სახლები, რომელიც მარშან ოც თუმნად ქირავდებოდა, ახლა ორმოც თუმნად გადის.

ამიტომაც ვისაც კი ცოტადღენი ფული უჭყავს ჯიბეში, ყველა მამულს ეძებს სასყიდლად და სახლის აშენებას აპირებს. ეს ძალიან კარგია უსახლ-კარო ხალხისათვის: ეს დროებით მოგროვილი ხალხი წავა მთელი ისილამ და ვინც დაერჩებით, იმათთვის სახლი გაიადდება.

* * * ჩვენ გვითხრეს, რომ ამ ქაშად მთელისში ჩამოუყვანიათ კიდევ რამდენიმე ახალი მგალობლები ბურიდამ და ძარბელოვისაც. ამბობენ, რომ მომავალ კვირას სიონის სობოროში ყოველად-სიმღველო ებისკოპოსი აღიქსანდრე სწირავსო და ამ წირვაზე უკანასკნელად გამოცდიან და დაათასებენ ორთავე გუნდის საეკლესიო გალობასო.

* * * ამბობენ, რომ უფ. პ. შმიკაშვილი ხელ-ახლად აპირებს თავის „სასოფლო ბაზეთის“ გამოცემის გაგრძელებასო.

* * * მთელისის მოამბის სიტყვით,

მარტო მთელიისის გიმნაზიში დასტე-ლა-სხვა სასწავლებლებში 1,000 ყმაწვილზე მეტს უთხრეს მიღების უარი, რადგან ზოგიერთნი მომზადებულნი არ იყვნენ და ზოგს სასწავლებლებში კი ადგილი აღარ იყოვო.

* * * ჩვენ ჩავვიყარა შემთხვევით ხელში წერილი ახალგაზდა ქართველის უფ. ბიორგი რატივისა, რომელიც გასულ აგვისტოში წავიდა სამზღვარ გარეთ მხატვრობის შესასწავლებლად. ამ ბარათიდამ, სხვათა შორის, ეტყობოთ, რომ ის ყმაწვილი მისულა ქალაქს ღრუბდენში, უნახავს იქაური მხატვრობის პროფესორები და როცა უჩვენებია იმათთვის თავის მხატვრობა, ისე მოსწონებათ, რომ სუთ იძახდნენ: „ტალანტი! ტალანტი!“ და დამპირდნენო, რომ მხატვრობას აკადემიაში მიგიღებოთ, ყველაფერში მოგეხმარებითო. პროფესორებს უყვირდათო, ძავეკასიაში ამისთანა ნიჭიერი მხატვარი როგორ გაიზარდაო.

უადვილო არ იქნება, აქვე მოვიხსენოთ ჩვენ მადლობით და პატივისცემით მთელიისის მხატვარი ხლამოვი, რომლის შემწეობითა და ჩნევით უფ. რატივი წავიდა სამზღვარ გარეთ და რომელიც ყველა ნიჭს რითაც შეუძლიან ხელს უწყობს.

* * * ბუშინ, კვირას, ძალაქადამ წაიყვანეს ძიკო ჩოლაყაშვილი, რომელსაც, როგორც მოგეხსენებათ, ცოლის წვლებისათვის ციშირში დასახლება გაუმწყესს. დიდ-ძალი ხალხი—ნაცნობები და უცნობი—გაჰყვა იმას მერამდინ, სადაც შამპანსკიც გაიხსნა გამოთხოვების დროს. მითონ ძიკო ჩოლაყაშვილი ისე მხიარული და ჩვეულებრივად ენა-წყლიანი იყო, რომ სრულებითაც არ ეტყობოდა, რომ ის სამუდამოდ შორდებოდა თავის სამშობლო ქვეყანას. აქვე გამოეთხოვენ მამას შეილები, რომლის გულ-ამომჯდარმა ტირილმა ზოგიერთებს თვალს ცრემლი მოგვგარა. შანდარმი მიჰყვებოდა; კარეტაში ჩასხდნენ და ძავეკამდინ ასე უნდა წავიდნენ; შემდეგ კი რკინის გზით...

„დროამის“ კორამსპონდენცია

საინფორმაციო, 6 მ. ქობულაძის. არც პურის მოუსვლელობას, არც ყურძნის დაღობას ვენახებში, არც სხვა ხიფათს იგეთი დიდი ენება არ მოუტანია ხალხისათვის, როგორც საქონლის ჭირსა რომელმაც მკრე ცელივით მცელელის-გაკაჭა მთელი ბარეთ-ძახეთის და საკუთრად საინგილოს პირუტყვი: ხარი, კამ, ბეჩი, ძროხა, ის პირუტყვი, რომელიც



ძვირფასია ყველა გლეხისათვის, ინგილოსათვის, და რომელიც დიდი ტვირთია ხელმეორედ შესაძენათ იგრეც დატვირთულ (ვალებით ყელამდე საყვ) ინგილო-კაციისათვის.

ამ ჭირმა დიდი ვნება მოუტანა ხალხს-მეთქი, მართლაც, თუ გლეხს არ ეგულება ჩვეულებრივი რიცხვი ხარ-კამბეჩისა, რითი მოხნავს მიწას, რითი დას-თესავს, რომ მომავალ წლისათვის სამყოფათ მოუყიდეს სარჩო?

ამ ჭირის შესახებ აი რასა მწერს ძახის სოფლის მამასახლისი უფ. მ. ივაშვილი:

„ჩვენში ბევრი ამბებია: წვიმებისაგამო ბაღებში ყურძნის დაღობა და გაფუჭება და მრავალი საქონლის (ჩვენებურათ, ძროხის) დახოცვა ჭირისაგან ჩვენში პირველი ამბებია; ჯანდაბას ყურძნების დაღობა, უ-ღვინოთ როგორმე გაეძღვებო, უ-შესაბამ ხარ-კამბეჩოთ კი ვერც ერთ დღეს. ძალოები გაუღვიწელი გვიგდია! მე მომიკვდა შვილი ძროხა; ვისაც ასობითა ჰყავ, ამა რამდენი დაეხობოდა!“ და სხვ....

მაგრამ ერთი კიდე უნდა ვსთქვა, რომ ინგილო მეტათ უმეტარია საქონლის შენახვაში და დაუღვარი. იქნება ჭირი უფრო იმისათვის ჩნდება, რომ მთელ ზაფხულში მათი გომები საქონლის „ფინით“ სამსეა და კიდევ ჰყარს, ზამთარში კიდე ძროხას აყენებენ ლაფიან დასველ სახლებში, რომლებშიაც თვითონაც ატარებენ ნახევარ წელიწადს. მაგრამ ნუ თუ ძროხები საინგილოში უფრო სვეტაკი და ნახნია, ინგილო კი არა! ძროხები ავთ ზღვებიან ამ გომებისაგან, კაცები კი არა! მშ, ბევრს რამეებს ვაბრალეობთ ამ ჭირს ჩვენი ვეტერინარებითურთ; მაგრამ ნამდვილი მიზეზი ძროხის სიცოცხლის ერთ წამში მოსპობისა, ვგონებ, ჰაერში ბუღობს.

სამწუხაროა ავადმყოფ პირუტყვის ყურება, როცა შეეყრება ხსენებული ჭირი:

„უცებ მოასხამს ოფლს ყველგან ტანზე, გეგონება უბანავია წყალში, და უცებ ერთ მიხლთას კიდე შეიშრობს; ამ დროს პირუტყვი იკლაკნება, იქნევს თავს, კულს, გარბის, წყალს ეწაფება, ტუჩს ადებს დედამიწას მოსაძოვად ბალახისა, გაყი კაცივით დადის, უცებ კადე გაჩერდება, ოფლი კიდე მოასხავს, კიდე შეიშრობს.

ასრე ერთს ანუ სამიოდ დღეს გასტანს და ბოლოს ძიგძიგი მოუვა მთელ სხეულში, დაეცემა დედა-მიწაზე და ბევრი ბრძოლის შემდეგ, მიაბარებს სულს გამჩენს. პირუტყვი მისთვის უფრო შესაბრალოა, რომ პირუტყვია. მის მოუსვენარ ყოფა-ქცევაში ავადმყოფობაში კაცი ადვილად შეატყობს, რომ პირუტყვი ისრეთვე იქცევა, ისევე წვალობს, როგორც ავადმყოფი ადამიანი, რომელიც, სასაწარვეთილებისა გამო და ტანში ანთებისა, იქნევს ხელებს, ფეხებს, ატაუენებს ტუჩებს, თვალებს უმიზნებს ყოველს საგანს თითქო ვილასაც ჯავრი სჭარიაო, ადგება და გადაყლაპავსო,

ტანი უთრთის და სხ... მაგრამ ამ შემთხვევაში პირუტყვი უფრო საბრალოისა, რადგან კაცივით მას არ შეუძლიან გამოსტყეას თავისი სატყეარი, წყლული, რადგან ავთმყოფისთვის დიდი ნუგეშია და წაშალი თვისი წყლულის სხვისთვის გაზიარება.

ძნელი სანახავია გლეხისათვის ამ გვარი ტანჯვა პირუტყვისა!

მ. შახალაშვილი

უცხო ქვეყნები

ინგლისი

ძიპროსის კუნძულოდამ იწერებიან ერთს ინგლისურს გაზეთში:

„დღეს, 15 ენკენისთვის, გათავდა მამალიანების ბაირაში და ამ დღესასწაულის გამო ძიპროსს გამგებელს ღენ. შოლსლის გამოცხადენ ყველა აქაური წარჩინებული მცხოვრებლები. ღენ. შოლსლიმ გამოუცხადა ამათ, რომ ინგლისის კოროლუვის გინკარგულებით ძიპროსის კუნძულისათვის დაწესებული იქნებოდა ცალკე კანონმდებელი კრება, რომელშიაც სულ 14 კაცი იქნება წევრი, ამათგან ნახევარი თვითონ მცხოვრებლებისაგან ამორჩეული და ნახევარაც მთავრობა დანიშნავსო.“

—ლონდონის გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინათ, რომ უნდა აიღონ პლემუსიდი, რომელიც პირველი ქალაქია ანგანისტანისა ინგლისის სამზღვრის მახლობლად. ახლა კი ამავე გაზეთების სიტყვით, პლემუსიდი ინგლისის ჯარები ნოემბრამდინ არ მიადბიან, რადგან მძირმა ამ ქალაქის გასამარებლად თორმეტი ათასი ჯარი გამოგზავნაო და ოცზე მეტი ზარბაზანიო.

ოსმალეთი

გაზეთის „თამისის“ სტამბოლელი კორრესპონდენტი ამბობს:

„ნახევარიც მართალი არ არის, რაც გაზეთებში იწერება არზრუმის სომხების აღელვებაზე და რუსეთში გადასახლებაზედ. ტყუილია აგრეთვე ვითომც უფალი ლეიარდი ცდილობდო, რომ არზრუმის ვილეთის ლუბერნატორად ოსმალეთს უეჭველად სომეხი ვინმე დაენიშნა; ლეიარდი მხოლოდ იმას ცდილობს, რომ ამ ლუბერნატორის თანამემწედ (ვიცე-გუბერნატორად) იყოს დანიშნული რომელიმე განათლებული და პათიოსანი ქრისტიანი; და ოსმალეთი კიდეც დათანხმდა ამაზე. შოველი უწესოების მოსასპობელად ოსმალეთმა დანიშნა არზრუმში ოთხი წევრისაგან შემდგარი სასამართლო, რომელშიაც ორი წევრი ქრისტიანია და ორიც მამალიანია. ამას გარდა ოსმალთს ხონტარმა მისწერა ახლანდელ არზრუმის ლუბერნატორს იხპალი-ფაშას, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექციოს, რომ ოსმალემა და მურთებმა არ შეაწყუბონ.

— ამავე გაზეთის სიტყვით, ქრისტიან ლუბერნატორად ოსმალეთი ქრისტიანს ნიშნავს.

მითხად-ფაშას კი, როგორც ამბობენ მცირე აზარში აძლევენ რალაც დიდ თანამდებობას

ჩარნოზორია

ჩერნოგორიის მთავარს ნიკოლაის გამუცხადებია უცხო ქვეყნის ელჩებისათვის, რომ თუ პირველ ღვინობისთვემდინ ოსმალეთმა არ შეასრულა ბერლინის ტრაქტატის მუხლი და არ დაგვიტომო ქალაქი პოდგორიცა, ომს გამოუცხადებო.

ნარკვი

ზამოჩენილს ამერიკელს მდისსონს, რომელმაც ტელეფონი და სხვა ბევრი გასაოცარი რამეები მოიგონა, მოუკონია ახლა კიდევ ისეთი მელანი, რომლის საშუალებითაც ბრძმებს შეუძლიანთ ყველაფერს წაკითხვა. მოგვსენებათ, რომ ბრძმებისათვის უცხო ქვეყნებში გამოცემულია სახარება და სხვა წიგნები, რომელიც იმით განსხვავდება ჩვეულებრივ ნაბეჭდისაგან, რომ ასოები ამობერილია ქალაღლზე და ბრძმა ხელის თათებს უსობს ამ ქალაღლზე და ამ ნაირად, შეხებით, ჰკითხულობს.

მდისსონს მოუგონია ახლა ისეთი მელანი, რომ როგორც ამ მელნით დასწერს ქალაღლზე, ეს ქალაღლი იმ წამსვე ამობიერება თურქზე იმ ადგილებზე, სადაც მელანი მოხვდება.

* *

ძალიან კარგი ჩვეულება ყოფილა ინდოეთში ვალის გადახდისათვის: როდესაც სესხის ამღები ვალს არ იხდის, მოვალე ჯერ ტკბილათ და ცრემლით ეყვდრება თურმე—მომეციო. მაგრამ, თუ არა გაუვიდა-რა ადგება მივა იმის სახლის კარებთან, დაჯდება იქ, არაფერს არა სჭამს, თან კენესის, სტირის გაცხარებით, საწამ თავის ვალს არ მიიღებს ან შიმშილით არ მოკვდება!

რამდენი იტყვის ამ ამბის წაკითხვის შემდეგ:

—აი ნეტავი ჩვენშიაც ჩვეულება იყოს, რამდენ ძარბატას ავატირებდით!

* *

ახალი პერანგი შემოვიდა მოდამი—ბისმარკის პერანგი, რომელიც იმით განსხვავდება ჩვეულებრივ პერანგისაგან, რომ ცალი, მარჯვენა სახელი უფრო მოკლე აქვს, ვინემ მარცხენა. ამბობენ, ერთმა მკერვალომა შეცდომით შეუკერა ამისთანა პერანგები თ. ბისმარკს; მაგრამ ისე მოუწონა, რომ უკან აღარ დაუბრუნა და კიდევ სთხოვა, რომ შემდეგშიაც მუდამ ამისთანა პერანგები შემიკერეო, რადგან წერის დროს მოკლე მარჯვენა სახელი არ მიშლისო.

ტელეგრაფები

განცხადებანი

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სტამბოლი, 7 ოქტომბერს. ოსმალეთ-მა გარდასცა მრანის მაზრა სერბისა და პოსტინოსი—ჩერნოგორიას.

ათინა, 7 ოქტომბერს. ტუმუნდუროსმა შეიტანა ათინის პარლამენტში წინადადება, რომ სრული დანდობა გამოუცხადოთ ოპოზიციის (მთავრობის მოწინააღმდეგე პარტიის) მოთავეებსაო. დეპუტატმა ტრიკუპისმა შეიტანა წინადადება, რომ კრებამ უარი სთქვას მთავრობის მოთხოვნებზედ, რომ მიეცეს იმას უფლება თორმეტი მილიონის დახარჯვისა. ტრიკუპისი თხოულობს, რომ რეზერვის ჯარები შინ გაუშვან.

სტამბოლი, 6 ოქტომბერს. უცხო ქვეყნების ელჩების მოთხოვნისგან, ოსმალეთის მთავრობამ დანიშნა მცირე აზიისათვის (სომხეთისათვის) ოთხი წვერი სასამართლოსი, რომელთაგან ერთი ქრისტიანი იქნება და ორიც მაჰმადიანი და რომელსაც უფლება იქნება, რომ დაატუსაღოს და დასაჯოს ყველა მაჰმადიანი, რომელიც ქრისტიანების შევიწროებაში იქნება შემხნეული.

სომხების მოსტანტინოპოლისელი პატრიარქი თხოულობდა, რომ სომხეთისთვისაც ისეთი კომისია დაენიშნათ, უცხო ქვეყნის წევრებისაგან შემდგარი, როგორც რუმელიაშია დანიშნული; მაგრამ ოსმალთს მთავრობამ უარი სთქვა ამზედ, რადგან არა ჰსურს, რომ იმის შინაურულ საქმეებში გარეშე ვინმე გაეროს. სომხებს იმედი არა აქვთ, რომ ამ ახალი კომისიიდან რამე კეთილი გამოვიდეს.

აშბობენ, რომ, პატრიარქის რჩევით, მცირე აზიის სომხები აღარ გადადიან რუსეთშიო.

თფილისის ძალაქის გაფხომისაგან

თფილისის ძალაქის გაფხომბა უცხადებს მეტრატორიებსა და მეხარჩეებს (ხარშოვნიკებს), რომ ისინი ვალდებულნი არიან ამ ოქტომბრისთვის განმავლობაში გამოეცალონ შარავში თავიანთი ვაჭრობის მოწმობა. მ-ნც ამ მოწმობას არ აიღებს ხსენებულ ვალდებულნი, იმათი ზაფხუდნიები, „ტრატორების წესდების“ მე-17, 18 და 58 მუხლების ძალით, დაკეტილი იქნება.

(3-1)

გამოვიდა ლიტოგრაფიიდან და ისე იყიდება **ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზრიაში**

ქართული სახალ-სო სიძღვრებები

ნოტაგზამ გარდაქმნისაგან მიხეილ მაჭავარიანისაგან

და გამოცემული **ბ. ჩარკვიანისა.**

ფასი ერთი მანეთი (3-1)

დაიგაჟდა და ისე იყიდება **ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზრიაში ახალი წიგნი:**

„სოლომონ ისაქიძე მეჯღანუაშვილი“

რომანი ლავრენტი არდაზიანისა.

გამოცემული **ბ. ჩარკვიანისა.**

ფასი 30 კაპიკი. (3-1)

გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზრიაში ისე იყიდება:

„ნიმუში“

მოთხრობა თავადი რაფიელ ქრისტოვისა, ფასი 15 კაპიკი.

„იგავ-არაკნი“

გამოცემილი სება-სულხან ოზბეღლიანის „სიბრძნე-სიტყუიდან“ და გალექსილი თ. რაფ. ქრისტოვისაგან. ფასი ორი შაჟი.

29 საქმეგრიდამ დაიწყო **გორში აუქციონით** გომამბაშის ატილ-ლერიის ცხენების გასაყიდვა. გასყიდება 1-2 და 4 არტილერიის ბრიგადის ცხენები.

ამ ცხენების ყიდვის მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ გორში.

(3-3)

თიანეთის უხედაში თ. ნიკო ჭავჭავაძის მამულის გვერდით.

ისე იყიდება გაყული დესიატინა,

რომელიც შეიცავს სახნავ-სათეს ადგილს, ტყეს, საწის-ქვილეს ადგილს (იორზე).

შასისა და აგრეთვე უფრო დაწვრილებული გარემოების შეტყობა და მამულის პლანის ნახვა შეიძლება „დროების“ რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, სახლს № 8.

(5-3)

ისე იყიდება პარტიითა და თითო კულითა **თამბაქო,** მახორკა,

ნაკლებ ფასათ.

აღრმისი: ბალერევი არწრუნისა, № 146.

ივანე ალხაოვი

რპ. ზზა.	დღო.	საღა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან. კაპ.	გაზანდა	მან. კაპ.	თფილისის სამკურნალო
თფილისი	9 21	5 18	3 კაპ.	8 კაპ.	მ-ტი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 29 სექტემბ.		ქრევის მაედანზე, წ. ნამდვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ქუთაისს, შოთს	1	ფქვ. თფ. ბანჯისა, ფთ.	180	ავთამყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ბორჯი	11 58	9 43	240	133	ბორს, აფშეთს, სიღნაღს	50	ფქვილი წითელი	155	მ-რ შაბათს: მერმიშვი და ბა- ჩაილი—შინაგ. ავთ., ქიურა- ჩინაც—საჯარო ექიმი და საშვი- ლოს ოპერაციები.
ხაშური	1 29	11 57	392	218	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	ქერი ფუთი	140	სამშაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბავ- შვის, პეუნოვი—თვალის.
სურამი	1 44		442	246	პეტერბურს, ვარშავას	2	ბაშა მრეებისა, ფუთი	750	მ-რ შაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბავ- შვის, პეუნოვი—თვალის.
შვირილა	5 49		581	323	ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	ამერიკიანა, ფუთი	850	მ-რ შაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბავ- შვის, პეუნოვი—თვალის.
რიონი	6 51		675	375	იტალიაში და საფრანგეთში	350	ბაქტალი ბაშა ფუთი	10	მ-რ შაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბავ- შვის, პეუნოვი—თვალის.
სამტრედია	7 51		773	429	ინგლისში	375	მაკუი თფური ფუთი	850	მ-რ შაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბავ- შვის, პეუნოვი—თვალის.
ახალ-სენაკი	8 43		857	476			თარაქამისა ფუთი	450	მ-რ შაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბავ- შვის, პეუნოვი—თვალის.
შოთი	9 50		975	542			აბრეშუმი ნუზური სტ.	2	მ-რ შაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბავ- შვის, პეუნოვი—თვალის.
შოთი	9	3			ჯოჯობა		ქანი, ფუთი	620	მ-რ შაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბავ- შვის, პეუნოვი—თვალის.
ახალ-სენაკი	10	14	118	66	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარ- ეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდიდ. ორშ. და ხუტოვ. მზურ.—პარასკ. და ორშ. ქა- ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაი- სიდან: თფილისისა და შოთისკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურ- გეთს—ორშ. და პარასკ.		ქონის სანთელი ფუთი	8	მ-რ შაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბავ- შვის, პეუნოვი—თვალის.
სამტრედია	11	5	2	6	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		სტეარინის სანთელი ფთ.	1220	მ-რ შაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბავ- შვის, პეუნოვი—თვალის.
რიონი	12	13	3	4	ლა წიგნისა	4	ხორცი ძროხისა, ლიტ.	81	მ-რ შაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბავ- შვის, პეუნოვი—თვალის.
შვირილა	1	18	3	98	და ჭადღის (სამი მისხალი)	8	ცხვრისა, ლიტრა	90	მ-რ შაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბავ- შვის, პეუნოვი—თვალის.
სურამი	5	12	110	533			სპირტი ვედრო	480	მ-რ შაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბავ- შვის, პეუნოვი—თვალის.
ხაშური	5	39	137	584			შაქარი, ბროც. ფუთი	740	მ-რ შაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბავ- შვის, პეუნოვი—თვალის.
ბორჯი	7	5	4	87			ფხვნილი ფუთი	6	მ-რ შაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბავ- შვის, პეუნოვი—თვალის.
მცხეთა	8	50	6	59			ქავა გრგვლი, გრგვ.	70	მ-რ შაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბავ- შვის, პეუნოვი—თვალის.
თფილისი	9	31	7	56			ჩეთი ქუნჯუთისა ფუთი	14	მ-რ შაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბავ- შვის, პეუნოვი—თვალის.
			9	75			თამბაქო, ს. შულო ფთ.	615	მ-რ შაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბავ- შვის, პეუნოვი—თვალის.